

№ 9

2 8 9 1914 წ.



მისამართი ქადაგის მომენტი

წლიური ფასი

= 3 მან. =

შოგალ კვირეული საზოგადო-ეკონო

ცალკე ნომერი 5 პაპ.

შიური და სალიტერატურო უნივერსი

რედაქცია ლია 9—3 საათ.

რელიგიური მესამე

მისამართი: თბილისი, გაბაევსკის ქ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპუტია: თბილისი კლდე.

1. სომეხ-ქართველთა ურთიერთობა. — 2. დადიანისა. 3. უმადურობა. უფრობა, თუ თრივე ერთად?!.— გარეშესი. 4. საგადობელი. — თარგმ. სანდო შანშიაშვილისა. 5. ჩვენი გასხვდელი. — თ.ბ. დავითაშვილისა. 6. შევჩერის ლექსიგიანგი. — თარგმ. გ. 6 — ისა. 7. დიდებული მგრენის ასი წლის იუბილე. — ახალმოსულისა. 8. ცრუმდები. — თარგმ. გ. ნამორაძისა. 9. დია ბარათი ბ. X-ს

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

შოგალ კვირეულ საზოგადო-ეკონომიკოსი

და სალიტერატურო უნივერს

# “კლდე”-ქედ.

1 წლით.	.	.	.	.	.	.	3 მან.
6 თვით.	.	.	.	.	.	.	2 მან.
3 თვით.	.	.	.	.	.	.	1 მან.

ცალკე ნომერი უფელებან 5 კაპ.

# სომებ-ქართველთა ურთიერთობა

(დასასრული).

ჯერ კიდევ არ არის გამოიკვეთლი რა ფაქტორი ჰქმნის ეროვნებას, რომელსა აქვს უმთავრესი მნიშვნელობა. არც ენა და არც ტერიტორია თითოეულად არ ჩითოვლება უმთავრეს ფაქტორად. სარწმუნოებას ჯერ კიდევ დიდი შემაკავშირებელი ძალა მოეპოვება, მაგრამ სინამდვილეში სასწორი ხან ერთ მხარეს გადიხება და ხან მეორეს. ებრა-ელი რა სჯულზედაც უნდა მონათლოთ, იგი მაინც ატარებს და ვერ წაშლის თვის დამახასიათებელს თვისებათ, რომეუნიკ მას საუკუნეთა განმავლობაში შემკვიდრეობით გადმოყეა; მეორე მხრივ კი, ჩვენ მეზობლად მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები ამ უკანასკნელ დრომდე არც კი გრძნობდნენ თავს ქართველებად, თუმცა ენაც შერჩენიათ და ისტორიული ტერიტორიაც. ერთ ეროვნულ სხეულს ეროვნული თვითშეგნება თუ შექმნის, მაგრამ ეს თვითშეგნებაც განსაზღვრულ პირობებში მუშავდება.

უვალა დასახელებულ ეროვნულ ლორებულებათაგან ჩვენთვის, ამ უამაღ, მხოლოდ ტერიტორიას აქვს უაღრესი მნიშვნელობა; სარწმუნოება ჩვენს დროში საქაოდ ძალა დაკარგულია და ერის შემაკავშირებელ მასილად ვერ გამოდგება. ჩვენთვის განსაკუთრებით, როგორც ერთ წერილში ივლინიშნეთ, ჩვენს სარწმუნოებას ისედაც არა აქვს ეს ძალა, რადგანაც იგი ჩვენ არ გვანსხვავებს იმ ერისაგან, რომლის მხრითაც მოვცელის გათქვეფა, როგორც რიცხვმრავალ ერისაგან. პირიქით, იგი ხელს უწყობს ჩვენს ასსიმილიაციის. ჩვენ არა გვაქვს ისეთი ცენტრად-მსწრაფი მიღრევილება, რომელიც უვალა ქართველს გვიჩიდავდეს ეროვნულ კერასაკენ და გვაგონებდეს სამშობლოს. კათოლიკე ეკლესია იმიტომ არის მსოფლიო ეკლესია, რომ სადაც უნდა იყოს მისი სამწყსო, იგი ყოველ მხრიდან დაინახავს პაპის ტახტს. იგი მაინც გრძნობს ერთობას, მისი თვალები მაინც რომისაკენაა მიქუეული. მექაც მორწმუნე მაჰმადიანისათვის ქვეყნიერების ყოველი კუთხიდან მოსჩანს, და სადაც უნდა იყოს მაჰმადიანი, იგი მაინც არ დაჰკარგავს თავის ეროვნულ სახეს. აგრედვე ებრა-

ელი, სომები და სხ. და სხ. ენაც ისეთი სუსტი და ფაქტი რამ არის, რომ მისი შექმნა და შენახვა, რამოდენიმე განცალკევებულ / თჯას და ჯგუფს არ ძალუქს, და იგი მაღლ გავრცება, თუ მის შემქმნელ ვრცელ მასის მკერძოებულებურდნობა და არ ახლდება. მას განუწყვეტული ჭარბი შობა უნდა, და თუ ერი გაიფანტა ვრცელ აღვილზე, შეერთა სხვა ერს, ენა ან სრულიად შეიცვლება და ან სრულიად გაქრება.

ისტორიულად განტკიციცებული ზნე-ჩვეულება ან იცვლება და ან შექანიურად და უშინაარსოდ თუ დარჩება.

ჩვენი კულტურული წირსული ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს საქმაოდ შეგნებული და ამნაირად ჩვენ არ შეგვრჩენია არც ერთი ისეთი ლიტებულება, ისეთი ფაქტური, რომელიც ქართველობას ყოველგან შეუნახავს. ჩვენი არსებობის ერთად-ერთი და უმთავრესი ბურჯი ამ უამაღ და ამ მდგომარეობაში ისევ და ისევ ჩვენი მთლიანი ტერიტორიაა. შისი შენარჩუნება, მისი მთლიანობა ჩვენს არსებობას უდრის და თუ კიდევ გვსურს არსებობა, იგი უნდა დავიცვათ. როდესაც ამ ტერიტორიას ჩვენ ვინმე გვედავება, ჩვენ არ შეგვიძლია ხელები დავიკრიბოთ და გულგრილად ვუცემოთ. რაც შეეხება ბრძოლის იარაღს, ამის შესახებ ლაპარაკიც მეტია, რადგანაც როგორც სომხები, აგრედვე ქართველობა საკმაოდ კულტურული ერია, რომ ყოველივე საშუალება სასურველიად არ აღიაროს.

აქედან, როდესაც ს.-ფედ. სოლიდარობისადმი მოუწოდება სომხობას და შესაძლებლები მიაჩინოთ ინტერესთა შეთ ნხება, ეს მხოლოდ სოციალისტური იდეალიზმით და მათი იდეალისტური ფსიქიკით თუ აიბნება, თორებ ამ საკითხში როგორ შეიძლება მათი შეთანხმება, როდესაც ყოველი ნაბეჭი სომხის ერისა ქართულ ტერიტორიაზე ქართველთა ინტერესების გასამლახველია?! შეთანხმება აქ მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც სომხობა ხელს აიღებს ჩვენი ტერიტორიის შეძენაზე და ან თუ ქართველობა აიღებს ხელს ტერიტორიის დაცვაზე.

სანამ ჩვენი ერი განსაკუდელშია, სანამ იგი მხოლოდ იგერიებს მტერს და თავის არსებობისათვის იბრძვის, ჩვენ იძულებული ვიქნებით მის რაზმში ვერიოთ; მაგრამ თუ ოდესშე დადგება ისეთი დრო, იმდენად წელში გასწორდება დღეს-დღეობით უკალასგან ჩაწინდული ერი, რომ გამოქომაგება საჭი-

რო არ იქნება; თუ ოდესმე ჩვენი ერთ თავის მხრით მიშტომი გახდება და სხვისი ინტერესების გადა-  
ლახვას მოინდობებს, ამ მაშინ სხვებთან ერთად  
შევძინებთ მას: კმარა მევობარო, სამართლიანობას  
ნუ გადალიავ! როგორც ამას იხდია მომხტომო  
ვუძახით. ამ ისეთი უნდა იყოს ამ ქამად გულის  
თქმა და ტაქტიკა უვერთა შევნებული პატრიოტი-  
სათვის. ასე იქცევით განათლებულ ქვეყნების სო-  
ციალისტებიც და მათი დემოკრატია. მხოლოდ ჩვე-  
ნი ს.-დემოკრატია სდგას შეურყეველ დოგმატებზე  
და ევროპის დემოკრატია, თვით სოციალისტებიც  
კი დაბლა ხრიან სოციალისტურ დროშას თავიანთი  
ერთს საჭიროებათა წინაშე. ამ მაგალითებიც იმისა,  
თუ დემოკრატია როგორ უერთდება ხშირად ბურ-  
ჟუაზის, როგორ კომპრომ სამდე მიჰყავს სოცია-  
ლისტებიც არსებულს აუცილებლობას...

მოვებეზრდა კიდევ იმის მითითება, თუ რა განაცხადეს  
ბებელმა, ქორესმა და სხ. ომის შესახებ. თუ ვინი-  
ცობაა რომელიმე ჩვენი მეზობელი შემოესია ჩვენს  
სამშობლოს, მთელი ერთ შეისხამს იარაღს და  
მცერს ერთ ნაბიჯ მიწისაც არ დაუთმობსო,— ასე  
რომ ამის შესახებ ბაას არ გავაგრძელებთ. გადავ-  
ხედოთ სხვა მაგალითებს.

ერთი შეხედვით, ბურჟუაზიულ წარმოებაში,  
პრეწველობის განვითარებაში, ბურჟუაზიის გალო-  
ნიერებაში მუშათა კლასი არ უნდა იყოს იმდენად  
დაინტერესებული, რომ ჩაერიოს და მისი ქვეყნის  
ბურჟუაზის, მის კლასიურ მოპირდაპირეს გვერდში  
ამოუდგეს და მეორე ქვეყნის, მეორე ერთს დემოკ-  
რატიას შეეცილოს. ბურჟუაზია საერთოდ მომხრეა  
ვაჭრობა-პრეწველობაში და მიწადმფლობელნი მე-  
ურნეობაში მფარველობითი სისტემისა, პროტექ-  
ციონიზმისა. \*) როდესაც სახელმწიფო საკუთარს

\*) ბ. არ. ჯა— შვიდიც გაკვრით ესება თავის წე-  
რიდში „ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი“ ამ  
საკითხს მაგრამ ჩვენის აზრით იგი სრულიად შეუწინა-  
რებული აზრისა უოფილა ამ ცნებათა შესახებ. იგი ამ-  
ბობს: „ბურჟუაზიის პრინციპია თავისუფალი კონ-  
კურენცია ეკონომიურ ცხოვრებაში“... ერთობ  
გამორკვეულია პოლიტიკურ ეპთომიაში „პროტექციო-  
ნიზმი და თავისუფალი კონკურენცია კისი სასარგებლო  
და კისი პოლიტიკა, ასე რომ ასეთი გადაწყვეტილი  
აზრი სრულს წინადმდევთაშია მეცნიერებასთან. ნეტა,  
ვის გამოგთხილი უნდა იყოს მაგალ., გერმანიაში აგ-  
რარული პროტექციონიზმი? ან საფრანგეთში, ან რუ-  
სეთში ვინ არის დაინტერესებული ამ პოლიტიკით. რა-

წარმოებას მფარველობას უწევს, ე. ი. გატანას  
სხვა და სხვა პრემიებით აადვილებს და უცხო ნა-  
წარმოების შემოტანას მაღალი ბაჟით აძლევებს,  
ამისაგან მხოლოდ მომხმარებელი შესაბუთის უკანას-  
კნელი დაინტერესებულია ადგილობრივი ნაწარმოე-  
ბი აქვე დარჩეს, საკუთარ ბაზარზე იაფად (ე. ი.  
იმ ფასად, როგორც იგი საზღვარ-გარედ იყიდება)  
და უცხო ნაწარმოები თავისუფლიად შემოდიოდეს  
და თავისუფალ კონკურენციაში იყოს ადგილობრივ  
ნაწარმოებთან. იმიტომაც დემოკრატია ყოველთვის  
წანააღმდეგია მფარველობითი სისტემისა, მაგრამ  
ეხლა საქმეს მეორე მხრიდან შევხედოთ.

როდესაც ამა თუ იმ ერთს მრეწველობა, ნა-  
ციონალური კაპიტალი, ბურჟუაზია ჯერ კიდევ  
სუსტია და თავისუფალ კონკურენციაში უფრო  
ძლიერ მეზობელთან გაიკულიტება, მთავრობა იძუ-  
ლებულია საკუთარ ნაწარმოებს მფარველობა გაუ-  
წიოს და ამ უკანასკნელ დროებში თითქმის ყველა  
ქვეყნის დემოკრატიაც მხარს უჭერს ამ სისტემას.  
შრომის მფარველი სისტემა, მაგალითად, (Рабочий  
протекционизмъ) იმაში გამოიხატება, რომ იქ მუ-  
შათა კლასი მხარს უჭერს საბაჟო გადასახადს შე-  
მოტანილ უცხო საქონელზე. ეს თავდაპირველად  
სასარგებლო ნაციონალურ მრეწველობისათვის, კა-  
პიტალისათვის და ბურჟუაზიისათვის, მაგრამ ამავე  
დროს აქედან სარგებლობას მუშათა კლასიც გამო-  
ელის და ამ საკუთარ სარგებლობას მაღლა აყენებს  
მეორე ერთს დემოკრატიის, მუშათა კლასის ინტე-  
რესებზედ. რა საოგებლობა აქვს მუშათა კლასს?  
ისა, რომ საკუთარი ნაწარმოები ფართო საგარეო  
პაზარს პოულობს, წარმოება ფართოვდება, კაპიტა-  
ლი იზრდება და მუშებიც სამუშაოს შოულობენ და  
დიდ ხელფასსაც ითხოვენ. ამერიკის შეერთებულ  
შტატებში მუშათა კლასი მხარს უჭერს ჩინელ მუ-  
შებზე ბაჟის დადებას, ე. ი. ამერიკაში მათ შემოს-  
ვლის ეწინააღმდევება. გერმანია ხომ კლასიური  
მხარეა მფარველობითი სისტემისა და ს.-დემოკრა-  
ტიულ სიეზდზე მაინც სავაჭრო პოლიტიკის შე-  
სახებ მომხსენებელმა კალვერმა განაცხადა, რომ  
იგი არ უარცყოფს ჩინელ მუშების უფლებათ, მაგ-  
რამ უკანასკნელთა მეტოქეობა, მცირე ხელფასის  
დაქმაყოფილების სახით, თუ სახითო იქნება,  
—

ტომ გაუიწევებათ მთავრობის პოლიტიკა შაქრისა ან  
ნავთის წარმოებაში და ნე თუ ბურჟუაზია, რუსის მთავ-  
რობას ებრძეის: „ნე ერევი ჩემს საქმეშია!“

მუშათა კლასი იძულებული იქნება იმაზგან თავი დაიცვას; (ი. პროფ. ოზეროვის წიგნი „Основы финансовой науки“). 1898 წ. მუშათა კონკრეტულ მტკრებარდტში შეპერი სთქვა: „მარკსი ამბობდა, პროტექციონიზმი კონსერვატიულია, თავისუფალი ვაჭრობა კი სახოგადოებრივ განვითარების აჩქარებს და მიტომ ჩვენ თავისუფალი ვაჭრობის მომხრენი ვართო, მაგრამ ეს მოსახრების ორმოციან წლებში შემუშავდა; თუ კი არსებულ ურთიერთობის დავაკვირდებით (შეერთებულ შტატებში) თავისუფალი ვაჭრობის მომხრენი ახლა დიდი პლანტაციორები, მონების პატრონნი არიან და მფარველობითი სისტემისა კი მუშა ხალხი, და ჩვენ არ შეგვიძლიან თავისუფალი ვაჭრობის პროპაგანდა გავსწიოთ. ს.-დემოკრატიულ პარტეიტაგზე მტკრებარდტში დაადგინეს, რომ გერმანული მრეწველობა საკმაოდ მოლონიერებულია და მას მფარველობითი სისტემა აღიარ ესაჭიროებათ, ასე რომ მოლონიერებული არ ყოფილიყო, მას მფარველობას გაუწევდნენ.

ავსტრიალიის ახალშენებშიაც სადაც ყველა ქვეყანაზე უფრო ძლიერია მუშათა კლასი და მთავრობაც ლიბერალური, იქაც დემოკრატია პროტექციონიზმს ემხრობა, როგორც მრეწველობაში, აგრედავე შრომისათვის

რაღაც დაგვჭირდა ეს მაგალითები? იმად რომ დაგვენახა, თუ რა როგორია ცხოვრება, როგორ გადახლართულია ერთიმეორებში სხვა და სხვა ინტერესები, როგორ ხშირად ერთდება შეუერთებული და ითოშება განუყოფელი. ბურეუაზისია და მუშათა კლასის ინტერესები ის ორი პარალელი ხაზია, რომელიც არისოდეს არ ერთდება, მაგრამ ამავე დროს ისეთი პარალელი ხაზებიც არ არსებობს, რომელიც როდისმე (ს. ც ნ ბ ე ვ კ ი ნ ი ს ტ ი) არ შეხვდეს ერთბანების, და აი ხშირად მოწინააღმდეგე კლასები ერთ და იმავ პოზიციაზე დგებიან და მეორე მხრით კიდევ სხვა და სხვა ქვეყნის ერთი და იგივე კლასი ერთი-მეორის საწინააღმდეგოდ მოქმედობს.

რა თქმა უნდა, ქართველებიც ეტრუიან იმ შორეულ იდეალებს, მათაც წარმოდგენილი აქვთ, რამდენიდაც ეგ შესაძლებელია, ის სანეტიარო დრო, როდესაც ყველა ერთ თავისუფლად შევა იმ უნივერსალურ ოჯახში, რომელსაც კაცობრიობა ეწოდება, იმან იცის რომ კაცთა შორის უნდა განმტკიცდეს სიყვარული და სოლიდარობა და არა დაუნდობელი სისხლსალვრელი თმი, მაგრამ ეს ყო-

ველივე იდეალია, ეს არის ადამიანის „რევოლუციური მსურს“, მაგრამ ამავე დროს შეუძლებელია დღეს დღეობით სრულიად თვალს მოვარიდოთ არსებულს კანტიუბილებას და თმ შორეულის სასურველს ეს იწყო ვანაცვალოთ. თუ ეს „მსურს“ არ იქნება შეთა ხმებული „რევოლუციურებების“ თან ჩვენ იმ სასურველ მომავალს ველი მოვალეობით. მაშ, თუ ყოველივე ასეა, როგორც ზევით დავინახეთ, ნუ თუ მართლადაც სრულიად შეუძლებელია „შეთანხმება“, „მორიგება“?!

არს ბობს ერთად ერთი, სრულიად მარტივი და სამართლიანი მოთხოვნა ქართველი ერისა, ტერიტორიის შესახებ, რომლის შესრულებაც საბოლოოდ გადასწყვეტს საკითხს. ჩვენ ვიცით, რომ ეს მოთხოვნა კეთილი გულით და ერთი-მეორის პატივისცემით არ დაკმაყოფილდება. ჩვენა გვწამს რომ მის განხორციელებას ძალა უნდა, თანამედროვე კულტურით განხტკიცებული, ძალა არა გულუბრყვილო რწმენაში, არამედ რეილური.

ჩვენს მწერლობაში ხშირად მავინ ტერიტორიის ბედი უმრავლესობის პრინციპით სურთ გადაწყვიტონ. რომელი ეროვნებაც იქნება უმრავლესობა ტერიტორიაც იმისი უნდა იყოს, მაგრამ პრინციპი უმრავლესობის ერთობ ცვალებადია. დღეს შეიძლება ერთი ერი შეადგენდეს უმრავლესობას, ხვალ კიდევ სხვა. ამის მაგარითები ბლობად მოიძებნება პრუსიის პოლონეთში; პროფ. ბერნარდის გამოინგარიშებით, რიცაც 40 წლის განმავლობაში ერთადები იქ ჩანთ-დან 50-ზდე ჩამოვიდნენ და პოლონელებმა უმრავლესობა შეადგინეს. ან და კიდევ, გავიხსენოთ ირლანდიის გლეხთა ბრძოლა ინგლისელ ლენდლორდებთან. ირლანდიის თითქმის მთელი ტერიტორია უცხოების მემამულებმა ძალით ჩაიგდეს ხელში, მაგრამ იქაც რამოდენიმე წლის ბრძოლის შემდეგ, თანდათან მიწა ისევ ირლანდიელ ფერმერებზე გადადის და კინონმდებლობაც ხელს უწყობს ამ პროცესს (მაგალითად. ცნობილი სამი „ფერ-რის კანონი“). თუ ჩვენს ერს კიდევ შერჩენია სასიცოცხლო ძალა, იგი შეიძლებს საქართველოს ტერიტორიაზე უმრავლესობა შეადგინოს და კიდევაც თანდათან აშკარავდება ეს ტენდენცია. უმიწა-წყლო სამეცნიერო და იმერეო სხვა და სხვა კუთხისაკენ დაიძრა და როგორ იქნება ამ თავითვე ძალდატანებით მოვალეობით საშუალება ბუნებრივ ლტოლვილებას?!

მეორე მხრით, რეფერენცუმით პსურთ ამ საკითხის გადაწყვეტა რეფერენცუმი შეიძლება სა

მართლიანი საშუალება იყოს ზოგიერთ საკათხების გადასაწყვეტად, მაგრამ აწინდელ საქართველოს სახის, გამოსარჩევები იმითი ხელმძღვანელობ ცინიზმი იქნებოდა და მეტი არაფერი: მთახდონეთ რეფერენდუმი დღეს თბილისში და ხმის დიდი უმეტესობით გამოჩნდება, რომ თბილისი სომხებისაა და არა ქართველთა დედა-ქალა-კი.

ჩვენის ახრით, არის ერთი საშუალება, რომელიც სამართლიანად გადასწყვეტს ამ საკითხს. კადკასიაში ქართულ ტერიტორიად უნდა აღიარებულ იქმნას მხოლოდ ის ტერიტორია, რომელიც ეჭირა საქართველოს სახელმწიფოს, როდესაც იგი ამ ასი წლის წინად რუსეთის სახელმწიფოს დაუკავშირდა. \*).

კარგი, მაგრამ რა ეშველება იმ უმცირესობათ, რომელიც ამ ქართველთა ტერიტორიაზე მოჰყვება? ერთი რომ, გარანტია მათი უზრუნველყოფისა მთელი წარსული ისტორია საქართველოსი, სადაც საარაյმ თავისუფლება არსებობდა უცხო ელემენტთა ყოველი მხრით; ამას განციცირებით აღნიშნავენ ევროპიელნი მოგზაურნიც ძველ საქართველოში და ამას ვერც ის ერნი უარპყოფენ. რომელიც უმცირესობას შეაღეცნდნენ.

მეორე მხრით კიდევ, თუ საქართველო იმდენად გაღონიერდება, რომ როდისშე თითონ გადაიქცევა მხარეელი, იმ მაშინ გამოუჩნდება ნიადაგი სოციალისტურ იდეალებს, მაშინ გამოვლენ სოციალისტური ჯგუფები და ილაგმავენ თავგასულ ერს. მაშინ სწორედ უნდა განხორციელდეს ჩვენი სოციალისტურ პარტიათა პროგრამაში აღნიშნული გაურიციები უმცირესობის დაცვისა. სანამდის კი რომელიმე ერთ დაჩაგრულია, სანამდის უვალი მხრიდან მას გაქრობას უქადიან, მას უფლება იქვს თავი დაიცვას.

რაკი ქვეყანაზე ვინმე იშვა, იქნება იგი უბრალო მღილი თუ თვით ბუნების გვირვვინი,

\*) ი. 24 იულისი 1783 წლის ტრაქტატი რუსეთსა და საქართველოს მთხის, სადაც ეკატერინე მეფის აღმოჩენის: „содержание цѣлости настоящихъ владѣній царя Ираклія, предполагая распространить таковое ручательство и на такие владѣнія, кои въ теченіе времени, по обстоятельствамъ, пріобрѣтены и прочимиъ образомъ за пимъ утверждены будутъ“. арт. II.

ადამიანი, იგი ამით იძულებულია თავი დაიცვას და რაც შეიძლება მეტი ბედნიერება /მოიპოვოს; ამ გზას ვერც ერთ აუხვევსო, მარტინშობდა... ნოე ეკონდანია 1900 წლის „კვაჭჭიშვილები“ პატარა პასუხში დიდ საკითხზე\*. შეიძლოს მარტინის განმავლობაში ქართველი ერთ უკან-უკან იხევდა და აპა. იგი გაუვალ ხევში მოემწყვდა! კიდევ დახევა შეუძლებელია, და იგი იძულებულია ისევ გაიმეოროს მისი სასიცოცხლო ლოზუნგი: „ან გამარჯვება და ან სიკვდილი!“

ს. დადიანი.

## სიღნაღის ბახვი

განეთ „ხმა ქახეთისაში“ ბ.ნი ქართის ექება სიღნაღის ბახვის ამჟრაციებს ქახეთში და შემდგან სურათს გვიხარება:

პირველად, როდესაც ბანკმა მოქმედება დაიწყო მას პეტრი მარტო 1610 გ. სამუშაო თანხა. ამ პატარი თანხით, დაწყებული საქმე უკვე საქმარისად გაიზარდა. 1913 წ. 1 იანვარს უკვე 365 წევრი იყო 23, 830 გ. ძირითადი თანხით. ამ წლის განმავლობაში 277 წევრი მოემატა და 1 იანვ. 1914 წ. უკვე 642 წევრი გახდა 40.290 გ. ძირითადი თანხით. აღსანიშნავია ის კარგი მხარე, რომ წევრთა შორის მომეტებული ნაწილი სოფლის მეურნენი და ვაჭრები არიან.

პარტო ძირითადი თანხის ზრდა საქმარისი არ არის. ეს ფული რასაკირველია ვერ დააკმაყოფილებდა უვალი წევრს, ამიტომ ბანკი სკდილობდა მეუზიდნა სხვა თანხებიც. ესეც ბანკმა პირნათლად შეასრულა. 1 იანვ. 1913 წ. ბანკში შეტანილი თანხები იყო სულ 28968 გ. 36 კ. წლის განმავლობაში კი ეს თანხა თითქმის ერთი სამაც გაიზარდა და 1 იანვ. 1914 წ. ასეთი თანხები უკვე 73.413 გ. 74 კ. უდრიდა. ეს ციფრები ჩვენ ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ბანკის ნდობა დღითი დღე იზრდება საზოგადოებაში და უკვე მომეტებულ ნაწილს ადგილობრივ მცხოვრებთა, ვისაც კი თავისუფალი თანხები მოეპოვება, ბანკში შემოიქვს შესანახად. გარდა ამისა, მომავალში სრული იმედი შეგვიძლიან ვიქონიოთ, რომ ეს ბანკი ჩვენ მაზრაში უვალი გაფანტულ თავისუფალ იანხებს

მოუკრის თავს და ჩვენი წარმოების ასაყვავებლად დაატრიალებს. ჯერ კიდევ ბევრს ჩვენგანს ვერ შეუგნია ბანკის მნიშვნელობა და ვერ აღჭურვილა მის დამი ნდობით, რის გამო თავისუფალი თანხა, ან თვისი შენახულება მიაქვს სხვა კასებში შესანახად, სადაც სულ მცირედ სარგებელს იღებს (უ 3 კაპ.) და საიდანაც ეს თანხა შეიძლება სულ სხვის წარმოების მოხმარდეს. აქამდინ, არა გვქონდა ქიზიყ-კახეთში საკუთარი ბანკი, თავისუფალ თანხის პატრონს სხვა გზა არა ჰქონდა, ეხლა კი უველის შეუძლიან თავისი ფული შეინახოს ჩვენს საკუთარ ბანკში, სადაც ორჯერ და სამჯერ მეტს სარგებელსაც მიიღებს, და გარდა ამისა ეს ფული ჩვენივე ხალხის საქმეში და მის სასარგებლობ დატრიალდება. ფულის დაკარგვის შიში კი არა დროს არ შეიძლება, რადგანაც აქ ერთი და ორი არ არის პასუხის მგებელი, არამედ 642 წევრი (ეს რიცხვი სულ მუდამ იზრდება) რომელიც 201,450 გ. აგებენ პასუხს (პასუხის მგებლობაც თანდათან იზრდება).

ძირითადი თანხის და შესანახად შეტანილ ფულის გარდა სიღ. საურთისერთო ნდობის ბანკს ჰქონდა გახსნილი 10,000 გ. ნდობა სახელმწიფო ბანკში, და 20000 გ. სხვა ბანკებში. აი ეს თანხები, რომელიც სულ შეადგენ 143.703 გ., ბანკმა დაატრიალა ჩვენი ხალხის მეურნეობაში. იანვ. 1-ს 1914 წ. სულ გაცემულია ვექსილებით და დაგირავებულ ფასიან ქალალდებში 122,697 გ. ამ გვარი მოქმედებით ბანკმა მრავალ ჩვენს სოფლის მეურნეს და ვაჭარს ხელი შეუწყო თავის წარმოების გაუმჯობესობაში, მრავალი დაიხსნა ჩარჩომვა-მშეების შეუბრიალებელ კლანკებისაგან. ჩარჩ-მოვა-შეებს უკვე აღარავინ აძლევს ძველებულიდ უსაზღვრო სარგებელს და იძულებული არიან ან ბანკ-ში შეინახონ ფული, ან ნაკლებ სარგებელს დას-თანახმდნენ. იმათ კი, ვისაც შესანახად ჰქონდათ ბანკში ფული, საკმარისი სარგებელი მიიღეს. 1913 წლის განმავლობაში 3.097 გ. ჩ2 კ. სარგებელი ფულის შემნახველებმა. გარდა ამისა ბანკმა დაპფარი უველა თავისი ხარჯი (4.910 გ. 93 კ.) და შმინდა მოგება დარჩა 2,503 გ. 52 კ. წესდების ძალით ეს მოგება შეიძლება განაწილდეს წევრთა შორის და შეიძლება წევრებშა მოახმარონ ეს თანხა რაიმე სასარგებლო საქმეს. თვითეულს წევრს იმდე-ნი საგრძნობელი თანხა არა შეტვდებარა; ეს ერთი-ანი თანხა კი შეიძლება ისევ საზოგადოების სასარ-გებლოდ ბანკსავე მოახმარონ. ბანკი დღითი დღე

ვითარდება და მოკლე ხანში აუცილებლივ დასჭირდება მის საკუთარი შენობა, რომელიც შეიძლება ისე მოეწყოს, როგორსაც საქმის გარემოება მოითხოვს. იმიტომ წევრები უფრო უფრო შემდეგ და მოგებას გადასდებენ ბანკისთვის საკუთარ შენობის ასაგებად. ამით ბანკი კიდევ ერთ საუკუთხოს ნაბიჯს გადასდგავს და უფრო მეტს ნდობას დაიმსახურებს ხალხშიაც და სხვა დიდ ბანკებშიაც, რადგანაც ხშირად ბევრისთვის საქმის გარეგნული ვითარება უფრო დიდ მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება ბანკის მომავალს, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი საქმეები უფრო და უფრო გაფართოვდებიან. თუ ამ პატარი ხნის გან-მავლობაში პირდაპირ მოლოდინს გადასჭარბა, შემ-დეგში ეს ბანკი გახდება ერთად ერთ დაწესებულებად ქიზიყ-კახეთში სადაც შეკროვდება ჩვენი ხალ-ხის შენახულობა და საიდგანაც შეუწყვეტელ წყა-როსავით დაიწყებს დენას საწარმოვო თანხა, ჩვენი ტურფა ქვეყნის ასაყვავებლად. ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს ჩვენ ბანკს გასაკეთებელი. უკელახე უსა-კიროესი მათ შორის ჩვენი მევენახეობის, წვრილ ვაჭრების, მეთამბაქოე, მეცხვარეების და სხვა შწარ-მოებელის წვრილ შუამავალ აგენტებისაგან დახსნა და მათი წარმოების გაუმჯობესობაა. ამას კი მხო-ლოდ მაშინ შესძლებს ჩვენი ბანკი, როდესაც საქმი-რისი თანხა მოგრძოდება და, როდესაც ჩვენი ყო-ველგვარი მწარმოებლები მჭიდროდ შეკავშირდები-ან და ყოველივე დამოკიდებულობას ჩვენს ბანკთან იქონიებენ და სხვა კერძო შუამავლებს ჩამოქმნო-დებიან.

კიდევ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ხალხი შეიგ-ნებს ბანკის ფრიად სასარგებლო მოქმედების და თა-ვის შენახულობას კერძო პირებს და კასებს კი არ ჩაუგდებს ხელში, არამედ შეინახვს თავისივე საკუ-თარ ბანკში, სიღრდანაც მოშეტებულ სარგებელსაც მიიღებს და სამშობლო მხარის წარმოებასაც წინ წასწევს.

# უმაღურობაა, უგიცობა, თუ ორივე ერთად?!

(წერილი ფოთიძან)



„ქახალო, ვინ გძულს? — თავის დამპანელით.  
ობოლო, ვის მოჰკლავ? — ვინც გამომზარდა.“

ამ ბოლო დროს ფოთელმა კორესპონდენტებში და იმათმა ამაყად დამყოლმა პრესაშ ბ-ნის ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობა, როგორც ქალაქის თავისა, მათის კულტ, ძნად გაშალეს, გალეჩეს და კიდევაც ანიავებენ... ანიავებენ და ამ მოღვაწეობის ყოველსავე სხვილსა და წვლილს აღმა ქარს აძლევენ და დაღმა წყალს; თითქო ბ-ნის ნიკოლაძის საქმიანობაში აღარა იყოს რა ნაყოფიერი, სასარგებლო და ოფალსაჩინო; თითქო ნიკოლაძის დამსახურება ფოთის წინაშე ისე ფუქსიატი და უმნიშვნელო იყოს, რომ ერთი სულის შებერევით შეიძლებოდეს იმისი გაქრობა და გაცამტვერება. აღმაშფოთებელია ასეთი უმაღურობა, თუ ის განვებ და შეგნებულად ხდება, დამალონებელი და სამწუხაროა, თუ ის უვიცობითა და წინდაუხელობით არის გამოწვეული. ხოლო ორივე შემთხვევაში სრულიად შეუწყნარებელი და დაუმსახურებულია.

ბ-ნ. ნიკოლაძეს წელს უსრულდება ოცი წელი-წადი, რაც ის ფოთის მოურაობის ეწევა და, იმის მაგივრად, რომ ეს ხანგრძლივი და ბარაქიანი სამსახური ღირსეულად დაუმაღლონ და დაუფასონ, მისდგომიან და ათრევენ. მერე რა საბუთითაო? იყითხავთ თქვენ. იმ საბუთით რასაც მტყუანის ავლი-დიდება შეადგენს. საბუთი მტყუანისა კი, ეან-ეკ რუსოს თქმით, — ლანძღვა გინებაა. დიახ, იგინებიან, ილანძღებიან და, ისე გასინჯეო იმუქრებიან კიდეც და პგონიათ, რომ კრიტიკას სწერენ და საქმეს აკეთებენ. დავიწყებით რომ ასეთშა უტიფარმა კრიტიკამ და გველურმა სისინმა, ჩვენდა სამწუხაროდ და საყალალოდ, წიწისურის ტრაგედიამდე მიუგვიყვანა... მადა განდიდებისა, თუ სიბრძოვე პირადი ანგარიშებისა ისე გასჯდომიათ ძვალისა და რბილში, ისე დამთვრიალონ ამ საბედისწერო სენით, რომ სწორედ იმ საარაკო გმირებს მოგავონებთ, რომლებზე-დაც დიდებულმა ფადე-შავი ვეზირის რჩევით ლვინის სასწაულთ-მოქმედი გავლენა სცადა. ბრძებს თვალები აღახედია, საპურები ფალივნებად გამოდიან და ღატაკნი სისხლის ფასს იძლევიან; მადლობა ღმერჩის, შედარებით დაწყნარებული დროა, რორემ

ამ განდიდიდების სენითა და პირადი ანგარიშებით დამთვრილთა ღალადით რომ იზომ-იწონებოდეს ბ. ნიკოლაძის მოღვაწეობა, იმის მტერი და ავი, ახლა ცოცხალიც აღარ იქნებოდა.

ნიკოლაძე გამოჰყავთ მოღალატედ ქალაქისა და მოქალაქეთა წინაშე, გამოჰყავთ მოღალატედ მუშების და იმათმ ინტერესების წინაშე. ამასთანავე ტეხნიკის თანახმად მოწყობილ-მოგვარებულ ნაფოსადგური ღალატი ყოფილი თურმე ქალაქისა და მოქალაქეთათვის. აღებ-მიცემობის გაძლიერება და მსხვილი კაპიტალის დატრიალება ჩვენში ყელის გამოჭრაა თურმე მუშათა ინტერესებისათვის.

ყველა ეს უსიამოვნება, ყველა ეს თურაზაური და ორონ-ტრიალი, რაც ნიკოლაძის გარშემო არის იტეხილი, ელევატორიდგან მომდინარეობს. გამიგონია და როგორც წამიკითხავს, ევროპისა და ამერიკის სანავთსადგურო ქალაქებში ერთი და ორი კი არა, რამდენიმე ელევატორი მუშაობს თურმე, მაგრამ არ გამიგონია და არც წამიკითხავს, რომ ელევატორების იღმენების მეთაურნი საღმე და ოდესმე ან მოქალაქეებს, ან მუშებს მოღალატებად გამოეცხადებით და ჯვარზე გაეკრათ.

ბ-ნ ნიკოლაძეს ჩემი გამოსარჩევება არ ესაჭიროება. ნიკოლაძის პიროვნება, იმისი პირადი წყენა თუ სიამოვნება კი არ არის ამ შემთხვევაში საინტერესო, არამედ ის საკითხი, თუ რამდენად და რანაირად ფასდება ჩვენში საზოგადო მოღვაწეობა. „უკეთუ ნედლსა ხესა ეგრე უყვეს, ხმელსა რამე ეყოს?“ თუ ნიკოლაძის ნაყოფიერი მოღვაწეობა, როგორც ფოთის ქალაქის თივისა, აგრე წყალ-წალებულად და ყბად ასაღებად შესაძლოა გაჭხადონ, წვრილ ფეხა გამრჯელთა შრომას ხომ არავითარი ფასი და მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს!

კეთილ-სინდისიერი და პირუთვნელი კრიტიკა ყოველ საქმეში სასარგებლოა, საზოგადო სიკეთით გამსჭვალული ოპოზიცია ყოველ დაწესებულებაში სასურველია, მაგრამ როცა კრიტიკა კეთილ სინდისიერობას გაურბის, როცა ოპოზიციის პირადი ანგარიშები და საკუთარი მუცლის ტკივილი ასულ-

დგმულებს, მაშინ ამისთანა კრიტიკასაც და ოპოზიციისაც წინ წყალი უკან მეწყერი, რომ ვუსურვოთ დანაშაულად არ უნდა ჩაგვეთვალოს.

ხოლო ნიკოლაძის წინააღმდეგ ამ ეამაღ გიჩაღებული ეგრედ წოდებული კრიტიკაც და ოპოზიცია რომ სწორედ ესეთია, ამას შემდეგ წერილში დავასაბუთებთ, თუ, რა თქმა უნდა, მეც ქვეყნის მოღალატედ არ გამომატხადეს და ანდერძი არ ამიგეს.

### გარეშე.

## ს ა გ ა ლ თ ბ ე ლ ნ ი

რაბინდრანათ ტავორისა

თარგმანი გერმანულით

ერთ დღეს მოვიდნენ ჩემს ბინაზე და იძახდნენ: „ჩენ მსოფლი მცირე, სედ ჰაწაწა დაგილი გვსურს. ჩენ შეგებებით შენს ღმერთს ჰატიეს აღა სცემდეთ“. შემდებ შიდეს მათ ადგილი ერთ-ერთ კუთხეში და დასხდნენ მეუღლოდ, მოკრძალებით და დარსეულდად. მაგრამ იმ ღამის სიბნედეში კმავე, თუ როგორ კაშაწვეტის უვირილითა წმინდა დაღადი და უწმინდესი სიხარბითა დგთის სამსხვერპლოდან მსხვერპლი გაგლიჭეს.

სადაც უშიშრად არის სული, თავს შეღადა სწევენ, სადაც შეგება და ცოდნაა თავისუფალი, სადაც სოფელი სახლის შაღალ ზღუდეებისგან არ დამსხვრება, ხამციერება, სად სიტევა მარად სიმართლიდან მომდინარეობს, სად აზრის წყარო ჩვეულების მშრალს, მწირ მოვერში თვის გზას არ ჰქარგავს, სად სული შენგან იმაუქა რათა ადიძრას შემდეგ ფიქრთავის, მოძრაობისთვის — ამ თავისუფალ ცასთან მოშეც სუსა, მამა, ჩემი ქვეუანა გამოვათხაზდო!

ჩემი ღადადი, მეუფედ ეს არის შეჩდა: ჩასწედი წყურვალსა გრძლისას თვით საფუძვლამდე.

მოშეც შე ძალი, რათა ზრუნვა და სიხარული გზიდო მსუბუქად.

მოშეც შე ძალი, რათა ეამსა სამსახურისას გურ ჩემი გულის სიუვარული ნაეთვირთ.

მოშეც შე ძალი, რათა შედაგნი ძირი არ დაუშვა და მუხლი ჩემი უხეშ ძალას არ მოვუკარო.

მოშეც შე ძალი ჩემის სულის ადსამადლებლად აუ არსებულის უველდებულ წვრილმონტები შეიცვლილება

და მოშეც ძალი, რომ შენს ნებას თვით შენი ძალი შენ ერთს მოგაგო სიუვარულით.

კუთხირობდი, ჭრება დასასრულია ჩემმა შეზაფრობაშ ჩემის შეძლების უკანასკნელს ფარგალ საზღვრამდე — ვითომც ბილიკი ჩემს წინაშე დახმული იყო და საზრდო ჩემი მომავლისთვის გამოლეული. ვითომც ღრი ჩემი დამდგარის, რათა მეპოვნა იღემალების კალის ქვეშე შე საფარებელი, მაგრამ რას ვხედავ: შენმა ნებამ, შენმა სურვილმა არ უწევის ჩემდა არც საზღვარი, არც დასასრული, უკათუ ძველი სიტევა: ამ ჩემს ბაგაზე პირება, უმაღ ადმისტრებები ას გულიდან ახალი ჭანგი და სადაც ჩემი ძველი კვალი კვალი დაკარგებელია, აქ უბებ ჩნდება სულ ახალი ქვეუანა თავისის საგვირგვილობით და შეგნიურის ძოშიბდებელით.

როს გოლი დაშრეს, გრძნობა მასში ამოაფიტოს, მაშინ წერდობის წევიმაცეკებით გარდომეველინე.

როს მოკრძალება წარისონოს ჩემის ცხოვრებით, მაშინ გალობის ქრიშსალით გარდომეველინე.

როს შრომა ჩემ წინ ადისართოს აუზაურით და მან მოწევიტოს შეხს იღემალი, გადაღმა მხარეს, გარდომეველინე მეუღლობის უფალო ჩემთ, შენის სიშვიდით ჩემის გულის კანსასვენებლად.

როს მწირი გოლი დამიმდაბლები, ძნელი მოემწევდია ჩემთ მეფე, ზღუდე ჩემი შემამტკრიი წას, და მომევლინე კვლავ შეფურის ბრწინვალებითა.

როს ჩემი სული დაბრმავოს გნებითმა დოროლვამ, გარდომიცვას ძალურობით, მტკრითა და ჭეჭეით, ჭო წმინდათ და ფხაზელო ჩემთ დარაჯო, გარდომეველინე ელვითა და ჭეჭა-ჭებილით!

სად იმუროები, საუვარებო, უფლის გადაღმა? ჩრდილში იმაუქა შენს არსებას და აღარ ჩნდები? შენ ჩედსა კვრავენ, გიმორებენ და გვერდს გიხვევენ

და განაგრძობენ სიარულისა გზითა მტკრიანით,  
თითქოს შენ მათთვის, საყვარელი, არარა ოფ!

ჟამის შძიძეს მე აქ გირდი და მოწყდების  
შენის გოლისთვის გამოღელი შორის მიმოვარივებ.  
იღებენ ერთი ერთმანეთზე სურნელ უცვილებს  
ჩემი ქადათა ერთიანად დაცარიელდა.

წარილტეო დიღა და წარილტეო უკვე შეადღეც.  
საღამის ბინდზე დამიშმიმდა თვალი თვალემისგან.  
ადამიანის მიმოდან და დამცეკერიან,  
იღიმებიან და სირცხვილით მიგხებენ გოლის.  
გზივარ ვით ქადა მათხოვარი, სახეს ვაფარავ  
და როს მკითხავენ „რა მაკლა“, დაბლა მხრი თვალებს.  
პასუხს არ ვაძლევ.

ო, როგორ ძალმის გაფუმელავნო, რომ შენ ერთს გაც-  
რომ შენ აღმითქვი მოყლინება და ჩემთან მოსვლა? | დი,  
ან ვით შევძლებდი სირცხვილის წინ შე განმემარტნა  
თუ ვით ვართარებ საჭარწინოდ ამ სიღარიბეს.  
ამ სიამაუკი ვიდარავ გოლის სიღუმლოში.

გზივარ ბადახში და გოცნებობ შეჩის მოვლენის  
ახაზდეულად გამოწეინებალებულ ელგისგან ცაზე  
იოგვლივ ნათდება. აქროს ფრთანი შეჩის ეტლს : მკობენ  
ოდეს გხედავენ გამომხტარის შეჩის საჯდომით.  
უბა დადებულია განცვალებით იმზირებინ,  
რომ მე ნაგვიდან და მტკრისაგან ასე მამადლებ  
და ბინას მაძლევ მე შენს გვნრდით დასამკვიდრებლად.  
დატაკი ქადა მათხოვარი კორთა სამაუკი  
და მოკრძალებით, ვით გაზაფხულის ქარიშხალისგან  
თრთის და ცახცახებს აზიზი და ნორჩი არსება.

მაგრამ დრო მიჭქრის. ხმურობა არ ისშის გაღმე  
ეტლის თველებისა. საღხის გროვა ჩემს წინ გახვაშები.  
ნე თუ ეს მენ ჩარ ჩრდილ ქვეშე რომ სდგენარ მდემარე  
უველა მათ უკან, უგეგმა არითა გადაღმა მხერეს?  
მხოლოდ მე მარტო გელოდები და მწარედ მოგხოვან  
და ამ ჩემს გოლისა შეთვი უდონოდ ამათ ლტოლებით.

—

დიღით ჩერჩელი გაერთია ჩელტალდებისა.  
მხოლოდ მე და შენ ნაგით უნდა ცერვა დაგვეწუო  
და არც ერთ ქვეენის სულს არ უნდა სტრდნოდა ჩემით  
მოგზაურობის არც მიზანი და არცა გეზი,  
თუ სად მიყცურავთ, რომელ მხარეს, რომელ ლტოლებენ.

უსაზღვრო ზღვაში შეჩის მდემარე და მომრიალე  
დიმიღთან ერთად ხმა მწერბრობისა და გარდმაიფრენებისა.

ჩემი გადობა, როგორც ღეღვა თავის უფალი,  
თავისუფალი უთველ სიტევის ბრძოლისაგან. /  
განა ვერ ვაში არ დამდგანა? განა უტრიცმდები  
რამ სამუშაო გამომიჩნდა შესსრულებული იყო  
ჭედავ, ბინდ-ბუნდი ეფინება იოგვლივ ნაშარებს,  
მომაკვდავ სხივში დაფრინავენ ზღვის ფირფატები,  
თავის ბუდისკენ ფრთათა რჩებით ეშურებიან.

ვინ იცის, როდის იხსნას თავი ბორკილებიდან  
და იკი ნაკი, ვით ციმციში უპარასენელი,  
ვით მოხარხარე, ნაზი სხივი ჩამაჭალ მზისა,  
შეცურდეს ზღვაში, ჩაიმაჭოს დამის წევდიადში.

ეს არის ჩემი სისარული და აღტაცება,  
რომ ვიდგე გზაზე, ვიდარაჭო, შენ მოგელოდე  
იმ ადგიანს, საღაც მნელ ახრდილსა ჰუანტაგის სისათლე  
და წეიმა მოდის გაზაფხულის გაღვიძებისგან.

გზივარ ჭიშკრის წინ თვით დიღიდან შებინდებამდე  
და ვიცი, უცბად სანეტარო წეტი დადგება,  
ოდეს ვიგმენები ტებილ-მტანწველი დელვით ადგსილი.

არ გაცი, მარად თანდათან რომ მიასლოდები,  
რომელ მორეულ დრო-ჭამიდან მოიდიხან ჩემპენ  
ჩემს შესახელოდ.  
არც მზეს, არც ვარსკვლას არც ხმელეთს არ შეუძლიან  
სამარადისოდ გერს უჩინარად, ა, საყვარელო!

სანდრო შანშიაშვილი.

## ჩვენი განსაცდელი ლლეს არის!

ბევრნი ვერც კი ვხედავთ, რა უბედურს მდგო-  
მარეობაში ვართ დღეს ქართველობა. თითქმის ნა-  
ხევარი საქართველო უცხო ტომებმა აავსეს და წე-  
ნი კვალი ამიავდეს: საღ არის დღეს ქართველი  
ტაშირს, აბოცს, ყაიყულში, ან თუნდ თრიალეთ-  
ახალქალაქის მხარეს: ეს მხარე ნელ-ნელი დაიკავეს  
ოსმალეთიდან გადმოსულ გადმოპარულმა უცხო  
ერებმა და უმწეოდ დარჩენილი ადგილობრივი ქარ-  
თველობა ან გადაგვარდა ან გადასახლდა — გადა-ი-  
კარგა. სულ რამდენ-მე ათი წელიწადია, რაც ყა-

ზანის და ბორჩალოს მაზრები და მანგლისის შხარე სავსე იყო ქართველობით და აქ მძღვრად სცემზა ქართული ეროვნული მაჯა, სდეულდა და გადმო-დულდა ქართული კულტურა—დღეს ეს დიდი და მდიდარი ქვეყანა უკვე სხვოს ხელშია,—უცხო მოდ-გმის, უცხო სარწმუნოების ხალხში დაიჭირა—ზოგი თვალომაქცობით, ზოგიც ფულით და ძალმომრეო-ბით; ქართველობა ამ შხარეში ძალის ბეჭურავს აქა-იქ, უმეტესობა გასომხდა (რაღაც ქართველ მღვდლებს არ უგზავნიდა სას. მთავრობა და ამის გამო სომხის ტერტერები ნათლავდნენ და ასომხე-ბდნენ), ზოგიც გამაპმადიანდა და სადაც ამას წინ ქართული ქადაგება ჰქენებდა საეპისკოპოსო საწინამ-ძლვრო კათედრებიდან (ბოლნელი, ახტალელი, დმანი-ლი, წალკელი, ანელი, კარელი, ფატარელი) დღეს თითქმის არ ისმის ქართული წირვა ლოცვა. საქარ-თველოდან მოგლეჯილი და ძალიად გაოსმალებული მესხეთი, ტაოკლარჯ-ქან-აჭარუები თანდათან ივსე-ბა ჩვენ, ს. ეროვნების პტრებით და ამათ თვალო-მაქცურ მახეებში ჩავარდნილნი, ივიწყებენ თვის ეროვნებას, ქართულ ენას, სტოვებენ ქართულ ზნე-ჩვეულებას, ძვლ რაინდობას, გვიძულებენ, გვშორდებიან, გადაგვარების გზაზე დამდგარინ.

როდესაც, 1878 წელს, რუსეთის ძლიერებაშ ეს საქართველოს მარჯვენა შემოგვიერთა, ჩვენს სი-ხარულის საზღვარი არა ჰქონდა, გული ათასნაირ იმედებით აგვევსო .. ნამდვრად კი რა მოხდა? - ის მოხდა, რომ სანამ ჩვენ თვის გავახელდით, ეს ქვეყანა კიდეც გაავსეს მეჯლანუაშვილებმა და თავისი ქსელები გააბეს. დაპყარეს ხმა, რომ ვინც ოსმალეთში გადასცლის ვერ მთასწრებს მთავრობა უველის გაარსებსო, ძალიად გააქრისტიანებენო, ამოსწყვეტენ ან გააღარიბებენო. რადენიშედ განირ-თლდა მეჯლანუაშვილების წინასწარმეტყველება: ქართველ ოსმალოებმა მართლა საკუთარის თვალით დაინახეს, რომ ახალ ქვეყანაში ახალ შესული ჩი-ნოვნიკები, მეჯლანუაშვილის ნათესვები ან მათვე თანამოაზრუნი, მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენენ. დაურ-თხა ოსმალო—ქართველი, ჩალის ფისად ჰყიდვენ თვით მეჯლანუაშვილებზე მამულ-დედულებს და წყევლა-კრულვით გარბოდნენ ოსმალეთში მაპა-ჯირიდ. განახევრდა ოსმალოს ქართველობა, გაღა-ტაცდნენ ისინიც ვინც დარჩა; მეჯლანუაშვილებს დარჩათ რაც შეუგნებელ ოსმალ-ქართველს ხელი-დან გაუვარდათ, ფესვი გაიდგა ამ ახალ თესლმა და გამრავლდა; ამათვე ბევრგან დაიჭირეს ქართველ

კულტურის დიადი ნაშთები, ქართულ წარწერებს შლიდნენ დიდებულ ტაძრების კედლებიდან..

ყველამ ვიცი, თუ რა ლვანი მიუძღვის ქართველ კათოლიკებს ჩვენი სამშობლოს წინ, მაგ რამ სად არიან დღეს ქართველი ჟარულებულებები? სად გაპქრენენ ეს ჩვენი ნასწავლი და კულტურული ძეგი? დღეს სულ რამდენიმე გმირი მოსტირის იმას, რომ სომხებმა ათასნაირ ხერხებით თვით ბიუროკრატია დაყოლებუს, ეს ჩვენი სახელოვანი ძეგი მოგვწყვი-ტეს და „სომხის კათოლიკებში“ ჩაარიცხვინეს, ქართული ტიბიკონი გააუქმეს და სომხური წიგნე-ბი ძალიად ჩააჩეჩეს იმ ქართველებს, რომელთაც სომხურის „ინჩიც“ არ გაეგებათ, ადამიანური უფ-ლება წაგვართვეს და სომხის ტერტერებს დაგვიმო-ნავეს იმისთანა თავდადებული ქართველ-კათოლიკე-ნი, რომელთაც წარმოგვიშვეს სახელოვანი გმი-რები: ზუბალაშვილები, თამარაშვილები და სხ. ერთი შეუქართველ-კათოლიკობა ლა („ძმაბა“) სასიკვდილოდ იბრძვის, რომ ქართველობას კვლავ მოუპოვოს დაკარგული ქართული ტიბიკონი, მაგ-რამ სომხობამ რა დაინახა, ქართველობა იღვიძე-სო, გააორკეცა მეჯლანუაშვილური ხერხები და, როგორც „სახალხო გაზეთის“ წერილი (№ 1123) გვაცნობებს, თვით რომის პაპი შეუშინებით ასეთის მუქარით: „თუ ქართული ტიბიკონი შეგიწ-ყნარებია, სისხლი დაიღვრებათ“. გასჭრა მუქარაშ ქართულ ტიბიკონის შემოღების დასაკანონებლად იღებული კალაბი რომის პაპმა ისევ ძირს დადო... ამნაირად ჩვენის მომშებების ძალად გასომხება ძალა-შივე რჩება; როდემდის? ეს რომ სომხებისთვის გვექმნა, ქვეყანას ააყვირებდნენ, რას არ ჩაიდენ-დნენ! ? ჩვენ კი — სულ ძილი, ძილი, როდის გვეღირ-სოს გამოღიძება“ ... ნუ თუ ძილშივე გამოგვაცლი-ან მეჯლანუაშვილები ქართველობას, როგორც შეუნიშნავად გამოგვაცალეს მესხეთ-ტაო-კლარჯეთ-ბორჩალოს მთარე და იჭაური ისტორიული ნაშთე-ბი?

დღეს ხომ საქე იქამდინაც მისულა. რომ მთელს ან უბეტესს მის ნაწილს სომხის გუბერნიას უერთებენ და ამის შემდეგ ხომ უფრო აღვილად გადაავვარებენ იმ ნატამალსაც ქართველობისას, რომელსაც ჯერ კადევ შერჩენია ჩვენი ენა, გა-სომხებენ ან გაამეჯლანუაშვილებენ... ამის შემდეგ ხომ ახალ ტალღასაც უნდა ველოდეთ ოსმალეთი-დან სომხობისას (გავტონომებულებისას), რომელიც საბოლოოდ მოსპობს ქართველთ ნაშთს ამ ქვეყნე-ბი.

ჩვენ ხომ უკელიძ ვნახეთ, როგორ ამოაგდო სოლოლაკელთ კამპანიაში ჩვენს დედა-ქალაქში ქართველი კინტო, ეს თავისებური რაინდი ხალხი და მის მაგიერ დაასახლა მეჯლანუაშვილები... ამასაც ხომ უკელიძ ვხედავთ, რომ მთელი მართვა-გამგება თბილისისა სოლოლაკელ კამპანიაში ხელში ჩაიგდო და ქართველობა განსდევნა. ეს პოლიტიკა ხომ სამაზრო ქილაქებში იმარჯვებს ჩვენ თვალწინ.

„ტუტუც ვრაცებს“: ასე გვებოდი ჩებიან: უკაცრავად, კნიაზვან, „აშიბკაში მოვედიო“, შემდეგს ორჩევანი სულ თქვენიანებს ივირჩევთო... ჩვენც ხომ შეტი არ გვინდა!..

რა ხერხებით მეჯლანუაშვილები ხელიდან გვაცლიან მამულ-დედულებს, ან ნაჭირნახულევ პურლვინოს, ამაზე იმდენი დაიწერა, რომ მოგწყინდებათ კიდევ ამაზე ლაპარაკი. რა სისწრაფით იზრდება ტერტერების წყალობით და მათის გადაიგებით (იხ. შარშანწინდელი „ქართლი“) მეჯლანუაშვილების ბანაკები შიგ ქართლ-კახეთის სოფლებში, ამას ისიც საკმაოდ იხასიათებს, რომ მათმა მეცნიერებმა კიდეც გამოაცხადეს, რომ საქართველოს ან ივერიის ძველი საზღვრები მარტო „იმერეთია“: იმერეთი ფილოლოგიურ მეცნიერებით მთელი ივერია არისო, ესე იგი ქართლ-კახ-მესხ-ჭანეთი ბორჩალიანიდ ჩვენი გახლივი, თქვენ იქ წილი არ გიდევთო. იმავე მიზნით სომხის იდეოლოგ-მეცნიერნი ქართლ-კახეთის გაქრისტიანებასაც და მთელის კავკასიისაც გრიგოლ პართელს მიაწერენ, ვითომ (ამას უნდა გვაგულისხმებინებდეს) ქართლ კახეთის გაკულტურება ჩვენის ხელით მოხდათ და ანბანიც ჩვენმა შესროვაში შეგიდგინათო, სამღვთო წიგნებიც ჩვენგან ნასესხები გაქვთო და ხუროთმოძღვრებაო. ერთის სიტუაცია, დღეს სომხის ნასწავლი ხალხი იმდენად გათამამებულნი არიან, რომ ჩვენს ისტორიულ უფლებასაც გვეცილებიან და ჩვენი სახელმოვანი კულტურაც უნდათ თვალოთმაქცურად ტურინრად გამოგვაცალონ. იმედიცა აქვთ, რომ სომხეთის საზღვარი ძალიან მაღლე გახდება ლიხის მთა ხოლო ლიხის აქეთი ჩვენი ქვეყნები ერევნის სასომხეთო იქნება. მათმა მეცნიერებმა ხომ კიდეც გამოაცხადეს, რომ საქართველო მარტო იმერეთი არისო! \*)

\*) ესის წარწერათა და სხვა საბუთებას მიხედვით კი განის მხარე და შისი აუქმნე, სინონის ქადაქიდან დაწებებული (კანადაკა) ჩრდილო-კავკასიაში და მავი ზღვადან კასპიის ზღვაში უძველეს დროს ქართველთ მოდგმას სტერია და მათი კულტურის გვალი დღემდი

თუ ქართველ ერმა ეხლა მინც არ გაახილა თვალი და ჩვენ ჩვენი მდგრადი გერმანიაში ვერ შევიგნეთ, უეპველია ეს მართლაც, შეალებულ მოხდება. დღეს რომ სომხობაა თითქმის უტესებულებიც ცოგან მესამედს და მეტსაც) შეადგენს ქართლ-კახ-მესხეთისას, თუ ახლო მომავალში ახალი ტალღაც შეუჩნდევლად შემოვცვაპარეს, სომხობა რიცხვითაც გადა-

დანეხილა. არაბების შემწეობით 709 წელს სომხებმა ჩაშვებართვებს ადგინა და მაღად სამხის რჯელი მაღებისეს. მართმადიდებელი კათაღიერთის ადგინეთისა გარჩე-ცერენ და დედოფალი სპირსა აწაშეს. მირიანის მოდგმა ადგინელო მეფებიც გაასომხეს. არაბების დროსეულ და ცოტა უწინაც სომხებმა ერთი ნაწილი ქანების ქვეენისა და ჭირების, კარამხების; ხოლო 711 წელს ახლო ხანს ტარმი მაღად წაიდეს ციხე კალმახი, იქ გამაგრდენ და ქართველებს ჩაჟოესნენ, მაგრამ ხანძოებულე — მაღად გარუკეს იქიდან. შემდებს დროებში, სელჩუქების, თათრების (მანგოდებას) და ასმალების ძლიერების დროს დევნილები სომხები სტერიად მოდიოდნენ ჩვენს ქვემანაში და მერე სამუდოდ აქ რჩებოდნენ. — რაღაც ქართველს პაც ვაჭრობა მარტო სომხებს და ურიებს ჩაგდეს ხელში; ამატომ ქალაქებში და დაბებში უოველგან იყო სომხობა — ურიობა: სოფლებში კი სომხეთის ფეხი მოიკიდა განსაკუთრებით მეუე ერკელე მეთრეს დროს, რომელიც ასმალოდან გამოქცეულებს მუდამ შეფარულობდა და მიწა-წევას ურიგებდა. ფინც სომხის ისტორიას კარგად დაუკარდება, ადვილად გამოიცხობს, რომ ქელი სომხების პოლიტიკა ქართველების შესახებ იმავ გზას მისდევდა, აომელსაც ადგას დღევახდები „სოფლებულებითა პარტია“ — თვალოთმაქცერ შეკრიბრაბისას, სხვის ხელით მოქმედებას, შეუმნეულად ნელ-ნელ შემონარებას, ქნით მოფერებას, საქმით ამთხხერას. ხალხშაც შენიშნა: თუ გინდა ფაჭახი დაიქციო, სომებს მთანავლინე შვადათ. სომხის ტაქტიკა გასათცარია: ჩვენის სამეფოს ძლიერების დროს სომები სათავეში მოგემცედება ხოლმე, ხოლო ჩვენი გაჭირების ფას შეცრის ბანაკში აძღიერებს, გზა-გვალის უჩვენებს და ჩვენსავე ბანაკში რჩება ხმარად საიდუმლო აგენტად. ტეჭილად კი არ უთქვამთ: სომხის კონი მუდამ აღწევე ფდებათ. მაგრამ არას დროს სომხის „პოლიტიკა“ არ უთქვიდა ასე გამართვებული როგორც ამ უკანასკნელ 50 წლის განმავლობაში.

აქარბებს ქართველობას და მაშინ ვინ არის იმის  
თავდები, რომ მოხერხებულ ღროს სომხობაშ არ  
მოისურვებს ქართველებისთვის იმას, რაც ამას-  
წინედ თათრებს მოუნდომეს .. თათრები მომზა-  
დებულნი და იარაღიანები აღმოჩნდნენ და სომხო-  
ბას სასტიკი ინგარიში გაუწიოს, მაგრამ ამას განა  
შესძლებს ჩვენი დაბექავებული გულუბრყვილო და  
უკარალო გლეხეკაცობა?.. რომის პაპს სომხობაშ  
სისხლის მუქარი მოახსენა ქართულ ტიბიქონისთვის,  
არ გაუვლია ხანს და მართლაც დაიქცა სისხლი  
სოფელ ქარელში განთქმულის მებრძოლის ქართული  
ტიბიქონისა! ჩვენი განსაცდელი დღეს არის.... .

თ. ბ. დავითაშვილი.

## შევჩენკოს ლექსებიდგან

თარგმანი უკრაინულით

ჰკვენესის, ლრიალებს დნეპრი გულ-ფართო,  
ძლიერად შეერავს სასტიკი ქარი,  
ასწლოვან ვერხვებს თავს მიწას უხლის,  
მთასაებრ ააქვს ტალღა მძვინვარი.  
და მკრთალი მთვარეეც შავ-ლრუბლებ რტყმული  
ხან მიიმაღვის, ხან გამოკრთება,  
როგორც ლურჯს ზღვაში ნავი პატარი  
ხან ყურყუმელობს, ხან გამოჩნდება.  
მესამედ მამალს არ უყივლია,  
ჯერ არც სად ისმის კაცის ძახილი,  
კოტი გასძახის ტყეში თვის სატრფოს,  
ხეს ძალას ატანს კვნესა მახვილი.

გ. 6.

## დიდებული მგლენის ასი წლის იუბილე

წელს, 26 თებერვალს შესრულდა ასი წელი  
მრავალ-ტანჯული უკრაინის არა ნაკლებ ტანჯული  
მგლენის ტარას შევჩენკოს დაბადების დღიდგან.

„როდესაც მოვკვდე დამმარხეთ,  
იქ გამითხარეთ ხამარე,

სად უკრაინა ველფარობს

დნეპრი ნანას მდერს კისმარე”

სთქვა მგლენისანთვა და მისმა მოსიყვარულე ჩა-  
მომავლობამაც მართლა დნეპრის, შარტენენა, მხარე-  
ზედ კ. კანევის ახლოს უკრაინის ეჭვის უფლაშაზეს  
ადგილის გაუთხარა საფლავი ამ თავის პოვირისუფ-  
ლე მგლენის. ლაშაზ ადგილის არის ეს საფლავი;  
ირგვლივ გორაკებით დაფენილ სერზედ, ჭალით  
შემკულ ხევებსა და ფართოდ გაშლილს ველს შეუ-  
მდებარეობს იგი ზედ დნეპრის ნაპირის. საფლავს  
მიჩენილი პყავს ყარაული, იქვეა რომ თავი მსურ-  
ველთაოთვის ლამის გასათევად. აუარებელი ხალხი  
მიღის ხოლმე ამ საფლავთან კიევიდგან და სხვა  
ადგილებიდგან. მეტადრე მოსწავლე ახალგაზრდო-  
ბა, როგორც კი დნეპრის მოსკოლება ყინული და  
გემები დაიწყებენ მიმოსვლას, ყოველ კვირა-უქმე  
დღეობით ასობით მიემგზავრებიან, რომ ამ დიდე-  
ბული პირის საფლავს თაყვანი სურნ. ჯერ ისევ  
შორიდანვე მოსხანს იგი თეთრად და აღამიანის  
გულს ათასგვარი ფიქრთ-ნაგრძობით ივსებს.

უკრაინის ხალხს, მის ხამშობლოს უყვარს ტა-  
რასი შევჩენკო იმიტომ, რომ თვით ტარასსაც უყ-  
ვარდა იგი განუზომელი სიყვარულით, თავს გვ-  
ლებოდა, იზიარებდა მის ჭირვარამს და უზიარებ-  
და თავის ტანჯვის ფიქრებს. ხალხს უყვარს იგი,  
იმიტომ რომ ტარასი შევჩენკო მთელს თა-  
ვის სიცოცხლეში მათთვის მებრძოლი, მათ-  
თვის ტანჯული იყო, იმიტომ რომ იგი წყნა-  
რი სიმღერით აელერებდა თავისს ქნარს და მთელი  
ხალხის გულში ნადებს მწარე ნალველს ქვეყნიერო-  
ბასა და ლმერთს გადაიცემდა. შარშან შესრულდა  
50 წელი ტარას შევჩენკოს სიკვდილის შემდეგ და  
მინც კიდევ მთელს უკრაინის ლიტერატურას  
დღემდის ძლიერი გავლენა ემჩნევა ტარას შევჩე-  
ნკოს შემოქმედებისა; მისი ლექსები, ხალხურ ლექ-  
სებად არის ეხლა ქცეული და ყოველი უკრაინელი  
დიდის გრძობითა მღერის მას და ეს იმიტომ რომ  
ტარასი გულის სილრმემდის ჩასწვდა თავისს მშო-  
ბელ ხალხს, და იქიდგან ამოკრებილი სევდა-მწუ-  
ხარების პანგები მასვე გაუზიარო. ტარას შევჩენკო  
მეტად უყვარს უკრაინას, და ეს იმიტომ  
რომ მან თავისი შემოქმედებითი ნიჭი და სიყვარუ-  
ლი მთლიანად თავის ძვირფასს უკრაინას მიუძღვნა;  
იმიტომ რომ მისი ცხოველი პოეზია ხან ნაზი ეთე-  
როვით უალერსებდა მის ცქრიალი ქალწულთ,  
ტურფა ბულბულად დასტრიიალებდა თავს ამწვანე-  
ბულ ბალ-ველებს, ხან კი გრიგოლივით წამოურ-

ბენდა თავის მოძმეთ, შეაშეოთებდა ქვეყნის ძალა-მომრეობის წინააღმდეგ, აუწყებდა მათს მდგომა-რეობას, ამაყი არწივივით ზევიდგან დაპყიოდა მის მტერსა; იმიტომ რომ ტარასი შევჩენჯო თავისი სამშობლოს წარსულით გულს იოხებდა, აწმყოთი ნალვლიანი-ნალვლიანი იტანჯებოდა და მისი მო-მავლისაკენ იმედითა ჰქონდა თვალი მიპყრობილი და მარად იღვწოდა მისთვის.

აი ამისთანა მამულიშვილი იყო ტარასი შევ-ჩენჯო და იმის დაბადების ასი წლის თავსა დღესას-წაულობდა წელს მთელი უკრაინა. მაგრამ არასა-ხელმწიფო ერებს განა უფლება კი აქვთ რუსეთში თავისი ეროვნული დღესასწაული გადაიხადონ? და მით უმეტეს უკრაინას, რომელიც რუსეთში რაღაც ბოშად არის გამოცხადებული. მთელი შავ-ბნელი რუსეთი წინააღმდეგა ამ დიდებული კაცის დღესას-წაულს. უკრაინელთ აუკრძალეს დღესასწაულის გა-დახდა. და ამით კვლავ ერთი ზედმეტი შეურაცხ-ყოფა მიყანეს მათ ეროვნულ თავმოყვარეობას. ასე გასინჯეთ, სამღვდელოებამაც კი უარი უთხრა, რომ ტარას შევჩენჯოსთვის პანაშვილი გადაეხა-დათ.

ასეთი პასუხი გასცა ოფიციალურმა რუსეთმა ამ უდიდესი მამულიშვილის დღესასწაულს, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელოდა უკრაინა. ტარას, ღრმად უყვარდა თავისი სამშობლო და მშობელი ერი და მის აღორძინებას შეაღია თავისი დიადი ნიჭი და ენერგია, და ესევი ძლიერის სიყვარულით უყვარს უკრაინას და მის ერთაც თვით ტარას შევ-ჩენჯო. მადლიერი უკრაინას ერი ძეგლს უდგამს ქ. კიევში ტარას შევჩენჯოს, და ამ ძეგლისთვის მათ მოკლე ხანში შექვრიბეს უკვე 150,000 მანეთამ-დე.

### ახალმოსული

## ც რ ე მ ლ ე ბ ი

მ. შოგილიანსკის.

### თარგმანი უკრაინულიდგან

რკინის გზის პატარი სადგური, ჩვეულებრივ ასე მოწყენილი, ეხლა მატარებლის მოლოდინში გაბრწყინდა, გაელვარდა, თითქოს დიდი ხნის სა-ლათის ძილისავან გამოფხიზებდათ, და ნახაუ გა-ლიმა. შემოდგომის დღე მშვიდათ დამდებოდა, და

დასავლეთად დაწეული მზის სხივები/ გამოსალ-მების სევდით აუერადებდნენ ლედამიწა. იმათ ოქ-როსფერ სიმებზედ ცელქად უდერდებული შეულის პანგი აუცილებელი გაყრისა... გიგანტობისა

პატარი ქალ-ვაჟის ქერა თმები ოქროსფერდე-ბოდა მზის სხივთა ნაბანით. ვაჟის პაწია ხელებს ჩებდლუჯა დიდი სურა კივი ანკარი წყლით სავსე, პატარი ქალს კი ხელში ჭიქა ეჭირა. მათი ცოცხა-ლი თვალები მატარებლის ფანჯარებში მიმორბოდ-ნენ რაღაც ლოდინოთა და იმედით.

— „ციკი წყალი!“

მაგრამ ალბად არავის ესაჭიროებოდა ეს ციკი წყალი და იმედიც თანდათან ჰქონდოდა ამათ თვა-ლებში.

აბა. ერთი ჭიქა წყალი მომაწოდე! შემო-ესმათ მათ უტეხი ხმა და აი ვაგონის ფანჯარიდგან გამოჩენდა ვიღაც დრაგუნის გაწკეპილ ულვაშიანი წამოჭარხლებული თავი.

პატარი ბიჭმა ხელად გამოართვა გოგოს ჭიქა, წყალით გაავსო იგი. და მიაწოდა. მერე მოტრიალდა და თავის დას თვალებით ჩაუკინა, მანაც გაუგო სიხარულის გრძნობა და თითონც გაელიმა: ეხლა ხომ სახლში მამასთან ხელ ცარიელნი აღარ მივ-ლენ!

— მიირთვით პატონო!

— დიმისხი ერთიც! — გადმოსძახა დრაგუნმა.

ახლა პატარი გოგომ გაავსო წყლით ჭიქა და მიაწოდა.

— მიირთვით პატონო!

— კიდევ!

ბავშვების თვალებში სიხარულთან გაკვირვებაც გამოკრთა.

— მოიცა, ჩქარი ერთი კიდევ დამისხი, ჩქარი დრაგუნის სახე რაღაც უსიამოვნოდ დაიღმიქა და გაწკეპილმა ულვაშებმა ზევით შეითამაშეს.

— აბა ერთიც!

სიხარულის მაგ-ვრად ბავშვის თვალებში გან-ციფრება და გაუგებრობა და იხატებოდა.

მატარებელი ხელა იძეროდა.

— პა, პა, პა! იცინოდა დრაგუნი; და ჭიქა მიმავალი მატარებლის ფანჯარიდგან ბავშვების ფე-ხებთან გადმოისროლა. იგი გატუდა: კარგად ივაჭ-რეს!.. ბავშვების თვალებში ცრემლები გაბრწყინდა. და კიდევ დიღხანს უკეროდნენ ეს ცრემლიანი თვალები მიმავალ მატარებელს, რომელსაც სადღა-ცა შორს, უცნობ მხარეს მიჰყავდა უცნობი ხალ-ხი და მათ შორის წამოჭარხლებული სახისა და

ულვაშ-გაწყებილი დროგუნიც. იმათ ყურებში კი-  
დევ დიდხანს გიისმოდა მისი ცინიკური სიცილი—  
ჰა, ჰა, ჰა!...

დაუბერი სალამოს სიომ და ცრემლის მარტა-  
ლიტები ბავშვების თვალებში ამთაშოთ. ნელა და  
ჩუმად, თავ-ჩილუნ-ულნი მიღიოდნენ ისინი სახლში.  
ხოლო გამოუტირალი ცრემლები კი თვალთაგან  
უხილავ ნაკადად ეწვეთებოდნენ პატარა გულსა და  
ამ გულებში პირველად ილვიძებდა ეჭვი აღამიანთა  
სიმართლობაში.

### გ. ნამორაძე.

## გიგლიოოგრაფია

შოთა რუსთაველი და მისი პოემა.— სიმონ ქვერიანისა

თითქმის უველა დიდებულ ნაწარმოებისა და  
უკვდავ გენიოსთა და გამოჩენილ მწერალთა ხვედ-  
რია, რამოდენიმე საუკუნის შემდეგ მისი ვინაობის  
შესახებ, მისი სამშობლოს გამოსარკვევად ატეხილი  
დავა და კვლევა-ძიება. ყოველივე კუთხე ასეთ დი-  
დებულ, ზეგარემომადლით ცხებულს პიროვნებას  
თავისიად აცხადებს, ერთმანეთს ეცილებიან, კინ კლა-  
ობენ და ამასობაში ათასნაირი ლეგენდები, მოხაზ-  
რებანი, გამოკვლევანი ჩნდებიან და თანდათან ბუ-  
რუსით იმოსება ამა თუ იმ პიროვნების ვინაობა.  
შორს, ისტორიის სილრმეში რომ არ გადვიხელოთ,  
ერთი შექსპირის მაგალითიც კი საქარისია, თუ  
როგორ შეიძლება უბრიოლო საქმე გართულდეს. მა-  
დლობა ღმერთს, ეს ინგლისის გენიოსი არც ისე  
ძველ დროს სცხოვრობდა, შეთექვსმეტე საუკუნეში  
ინგლისი საქმიად მომწიფებული იყო კულტურით  
და განათლებით, მაგრამ აღმოჩნდა—იქაც შესაძლე-  
ბელი ყოფილა ჩვენი დროის გამოცანად გადაქცეუ-  
ლიყო ეს ბუმბერაზი ადამიანი. შრომა დაიხარჯა,  
რამდენი შესანიშნავი თხზულება დაიწერა და მაინც  
საბოლოოდ გადიწყვეტილია არ ჩაითვლება ვის  
ეკუთვნიან ის გენიალური ნაწარმოებნი, რომლი-  
თაც ჩვენ უბრალო მყიოხველნი შექსპირის ქმნილე-  
ბადა ვთვლით, შექსპირს თუ ბეკონს, მის თანამედ-  
როვე ფილოსოფოსს, ან კიდევ სხვას ვისმე.

თითქმის ასეთივე ბედი ეწვია, ჩვენს აღ. ყაზ-  
ბეგსაც და იმედია, რაც დრო გავა, მით უფრო გა-  
იზრდება ეს ლეგენდა და ჩვენი შთამომავალნი  
ერთს ვაი ვაგლახში იქნებიან ყაზბეგის ნაწარმოებ-

ნი თვით ოლექსინდრეს ეცუთვნიან თუ მისს პიძ-  
ვილს.

ასეთივე ლეგენდები ჰქონავს ჩვენს უკადავს  
გენიოსს და მისს პოემას. თეომურაზე მეტის შემდეგ,  
რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის შემოსისადან და  
სცხოვრობდა, დაიწყო კვლევა ვეფხის ტყაოსნისა  
და მისი დამწერის პიროვნებისა. შემდეგ არჩილ მე-  
ფე, ანტონ კაზოლიკოსი, დომენტი მიტროპო-  
ლიტი და ჩვენი დროის ისტორიკოსნი და მეცნი-  
ერნი უკლებლივ გამუდლებულ ცდაში არიან ნათე-  
ლი მოპონინონ ამ საკითხს. ამ პოემის იდეურ თუ  
სხვა ნიადაგზე აღმოცენებულ მოწინააღმდეგეთა წყა-  
ლობით და მეცნიერული სიმართლის ძიების სურ-  
ვილით და მოთხოვნილებით, გამოსარკვევი და საე-  
ჭვო გახდა, არა თუ ევტორის პიროვნება, ეპოქაც,  
ორიგინალობაც, ისტორიაც და ყოველივე.

ამ ამ ნიადაგზე, ე. ი. ამ საკითხთა კვლევის  
ნიადაგზე სდგას ზემოდ დასახელებული წიგნაკაც-  
ავტორი გვპირდება წარმოგვიდგინოს ამ საკითხის  
შესახებ „სრულიად ახალი შეხედულება“.

ავტორი უმთავრესად ეხება სამ საკითხს: ეპქა-  
ქას, როდესაც დაიწერა „ვეფხის ტყაოსანი“, ვინ  
იყო შოთა და „რა უდევს დედი აზრიდ სიუსეტად  
ამ უკვდავ პოემის“.

ავტორს შეურყეველ სინამდვილედ შიაბნია,  
რომ ეს პოემა დაწერილია მეთორმეტე საუკუნეში,  
დიდი თამარ-მეფის დროს. ამ აზრს აღვას უველა  
მკვლევარი ჩვენ დრომდი და ამ უკანასკნელ დრო-  
ებში ეჭვი შეიტანა ამაში მხოლოდ ახალგაზრდა  
მკვლევარმა ს. კავაბაძემ. იგი ამტკიცებს რომ ეს  
პოემა დაწერილია არა უადრეს შეთოთხმეტე საუკუ-  
ნისა და დაწერილია არა დიდი თამარისთვის, არა-  
მედ ვიღაც სხვა თამარისთვის, რომლის სახელი  
ჯერ უცნობია ჩვენს ისტორიაში. მალე გამოვა  
„ვეფხის ტყაოსანი“ ს. კავაბაძის და ამ პოემის ცნო-  
ბილი მკვლევარის ი. აბულაძის რედაქციით ორივე-  
სი წინასიტყვაობით და მაშინ დაახლოვებით გავე-  
ცნობით მათ აზრებსაც. რაც შეეხება შოთას გვარს,  
ს. კვარიანი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ასა-  
ხელებს გიორგი მე-III ძმის წულის დემნას მომხრე  
შოთა ართავისონ ეს, რომელსაც უნდა ეწეროს  
ამ ტახტის მაძიებელის ტრადიკული ბედი.

სიუსეტადაც ბ. ქვარიანი ასახელებს იმავე  
პრინცის თავგადასავალს. რომელსაც ავტორის მო-  
საზრებით უნდა ჰყავაჩებოდეს მისი ბიძაშვილი თა-  
მარი გიორგი მე-III ქალი. მართლადაც, უნდა ვა-  
ლიაროთ, რომ დიდი მზგავსებაა და ლოლიკურადაც

მწყობრად დალაგებული აქვს ავტორს პოემისა და ღემნას თავგადასავალის მსგავსება, მაგრამ ავტორი იძულებულია მხოლოდ სუბიექტიურს ნიადაგს დაემყროს, რადგანაც ჯერ არ მოგვეპოება ისეთი ისტორიული მასალები, რომელნიც უმეშვეოდ გვიმტკიცებდნენ ამ მოსაზრებას. არც ჩვენს მატიანეში და არც სიტუაციების ისტორიაში არ მოგვეძევა ჯერ-ჯერობით ნამდვილი მასალები, რომელთა მიხედვით შეგვეძლოს დანამდვილებით რისამე თქმა და ამიტომ იძულებული ვართ ყველა არსებულ მოსაზრებად და ბ. ქვარიანის გამოკვლევასაც ჰიპოტეზა უწოდოთ; ვიმეორებო, ბ. ქვარიანის გამოკვლევა შეიძლება ქეშმარიტი და ლოლიურად უზიანო იყოს. მაგრამ ჯერ მაინც შესაძლებელია არა ნაკლებ ლოდიური და ხალ მსჯელობასთან დაიხლოვებული გამოკვლევაც გვიძლვნას რომელიმე მკვლევარმა, რადგანაც პირდაპირა ცნობები არ მოგვეძებნება ამ პოემის შესახებ.

ჯერ კიდევ დიდი შრომაა საჭირო და შეიძლება დიდი დროც, რომ გადაწყვეტით რისამე თქმა შევიძლოთ.

ჩვენი აზრით საჭიროა, ისტორიულ უქონლობის გამო, თვით ტექსტის კვლევას მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება.

1). დიდი შენიშვნელობა აქვს ამ მხრით პოემის ლექსიურს მხარეს. უნდა ჩვენმა ლინგვისტებმა, იმის გარდა რომ გამოიკვლიონ სპარსულია, არაბული თუ ნამდვილი ქართულა ესა თუ ის სიტუა, აგრე-ცვე გამოიკვლიონ ისტორია უმთავრეს ტერმინებისა და სიტუაციებისა. უნდა გამოკვლეულ იქმნას როდის, რომელ საუკუნიდან შემოდის ხმარებაში ქართულ მწერლობაში ესა თუ ის სიტუა და ეს ხელს შეუწყობს პოემის ეპოქის გამოკვლევას.

2). უნდა ზედმიწევნით შესწავლულ იქმნას ზე ჩვეულებანი, კოსმოგონია, სოფლმხედველობა და სოციალური სტრუქტურა როგორც პოემისა და რეალური საქართველოსი ვთქვათ მეთორმეტე საუკუნეში, აგრეცვე იმ ქვეყნებისაც, რომელთა ზედგავლენაც ერტყმა, პოემას; ეს ჩვენ დაგვანახვებს რამდენად ქართულია ეს ნაწარმოები და რამდენად „თარგმანი“.

3). უნდა შევისწავლოთ პოემის გმირთა ხასიათები და შევადაროთ იმ დროინდელ ქართველობას, რამდენადც ნაშანი იმ დროისანი ამის საშუალებას გვაძლევენ, აქ ჩვენ დავინახავთ, რა სჭარბობს ამ ხასიათებში ქართველობა თუ სპარსობა, თუ ინდოელობა. მართალია ბ. ქვარიანი, როდესაც იგი

ამბობს, რომ მე XII საუკუნეში ტიპების ხატვა შეუძლებელი იყოვთ, მაგრამ ამავე დროს შეუძლებელი იყო მწერალს ისეთი გამონაკვთილი, ისეთი ცოცხალი სურათები როგორც სამუშავებრივი ტარიელი, როსტევანი, ისმათი, ფრიდონი და სხ. ისე უმაგალითოდ დაეხატოს.

4) უნდა შევისწავლოთ რაინდობისა და ქალის კულტი პოემისა და ისტორიული შევადაროთ, როდის შეიძლებოდა საქართველოში ისეთი კულტის შემუშავება. ამ შეჩით ძირითადია აკად. მარის გამოკვლევა, მაგრამ სამწუხაროდ იგი არ ეხება საკითხის მეორე ნაწილს: როდის, რომელ საუკუნოებში შემუშავდა იგი. ეს კვლევაც დაგვანახვებს ჩვენ რამდენად ქართულ ნიადაგზე სდგას პოეტი.

5). შემდეგ უნდა შესწავლულ იქმნას ყველა არსებული ვარიანტი და ამით გაიწმინდოს პოემა შემდეგი მეტორმეტებისაგან და სხ. და სხ. ამ მხრით, რამდენადც ვიცით, საყურადღებო იქნება ი. აბულაძესი და ს. კაკაბაძის გამოცემა.

ერთი სიტუაცით, დიდი შრომაა საჭირო და ყოველი ისეთი ნაბიჯი, როგორც მაგ. წიგნაკი ს. ქვარიანისა ლირის შესანიშნავია.

б. და—ნი.

## დია წერილი ბ. ა-ს

მოწყალეო ხელმწიფევ!

ჩვენ წინააღმდეგ მომართულს თქვენ წერილში, რომელიც მოთავსებული იყო „სიმართლის ხის“ ვე ს. ში 13 ამა თებერვლიდვან, არსებითად, დასაბუთებული და დალაგებული ვერა სთკვით რა. მხოლოდ კიდევ უფრო დაუსაბუთებლი ცალიერისა და ლიტონის სიტუაცით გაიმეორეთ ბრალდების ყველა ის მუხლი, რის დამტკიცებასაც ჩვენ გთხოვდით.

ჩვენ მოვითხოვთ თქვენგან ზეობრივი წესრიგის ძალით განეთისავე საშუალებითსათითაოდ დაასაბუთოთ და დაამტკიცოთ ჩვენ წინააღმდეგ თქვენ მიერ წამოყენებულ ბრალდებათა ყოველი მუხლი და განსაკუთრებით შემდეგი:

ა) რომ თითქმ ჩვენ შევაუყენეთ რაზმი ქალაქის საქმეების უკოდინარ პირთაგან და მოვახდინ ეთ თავდასხმა ბმოსნებზე ქუჩებში და სახლში, არ მივეცით მოსვენება, ჯარი მიღუსიერ და სხვ.

ბ) რომ თითქოს გუბერნატორს შევმართეთ თხოვნით ახალი არჩევნების დასანიშნავად.

ვ) რომ თითქო ერთ დროს გაზეთის თანამ-შრომელთა გადასასახლებლად „პრივოვორსიც“ ვადგნდით.

გ) რომ თითქო ფსევდონიმს ამოფარებულ თა გასაგებად „სიშიკობა“ გავმართეთ.

დ) რომ თითქო ნაკრობ კორესპოლენტებს უშვერი ლანძლვა-გინებით ვისტუმრებულით და ზოგიც გავლახეთ.

ე) რომ თითქო ტერორი გამოვაცხადეთ და მიავარი რაზმელების დახმარებით ოპოზიციონერი ხმოსნების დასარბეჭვად მოვუწოდეთ წინდაწინ დამზადებულ ჯარს.

თუ ეს გაზეთის საშუალებით არ მოგიხდენიათ, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით სხვა გზასა და საშუალებას მოვმართოთ.

ხელს ვაწერთ კონსტანტინე დავითის ძე გაბუნია, ერმალო ელიზბარის ძე ბოლქვაძე, დიმიტ-

რი ვახტას ძე ცეცვაშვილი, ზოსიმე მიხეილის ძე გვალია და კონსტანტინე იაგორის ძე რუხაძე.



## რეზისიცისაგან

სულის მომწერთ ვისაც ქურნალი არ  
მისდის უმორიჩილესად ვთხოვთ დაუუთნებლივ  
აცნობონ რეზაქციას ზომების მისაღებად.

რეზაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

**1894 წლიდან**

**1914 წლამდის**

საუკეთესო ღინდოდ ითვლება ღინდო

საზოგადოება „პასტი“-სა

ტელეფონი:  
№ 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63  
და ერევნის მოედანი.

განყოფილება: ბაქოში, ასხაბადში, ტაშქინთში, მოსკოვში, ბათომში, რისტოვში და სხ.